



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 6 სექტემბერი

დისციპლინური საქმე №142/22
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2022 წლის 17 აგვისტოს №142 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 18 აგვისტოს №484/142-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია და განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინა 2021 წლის 17 მარტს, მოპასუხე მხარეს კი სასამართლოდან 1 წლის და 5 თვის შემდეგ გაეგზავნა შეგებებული სარჩელი და თანდართული მასალები. ამასთან, საჩივრის ავტორის განცხადებით, მას არ ჩაბარებია განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, რის გამოც არ მიეცა საოქმო განჩინების გასაჩივრების საშუალება.

1.2. საჩივრის ავტორი 2022 წლის 27 მაისს მიღებულ განჩინებას დროებითი განკარგულების გამოცემის თაობაზე ხდის სადავოდ, რომლის მიხედვითაც, მოსარჩელეს მიეცა უფლება იქონიოს ურთიერთობა შვილებთან ყოველი კვირის შაბათ დღეს. ასევე, საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლე ვალდებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის საფუძველზე ცალკე წარმოებად გამოეყო სარჩელი განქორწინებაზე და მამობის უფლების ჩამორთმევაზე. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2022 წლის 14 ივლისს ჩატარებულ სასამართლო პროცესზე მოსამართლე კატეგორიულად სთხოვდა ბავშვები მამასთან გაეშვა და ენახებინა, ასევე, ბავშვებთან ემუშავა, რათა მათ მამა მიეღოთ.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2021 წლის 1 თებერვალს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხე - -- -- მიმართ არასრულწლოვანი შვილების ნახვის დღეების განსაზღვრის მოთხოვნით.

2021 წლის 16 თებერვალს მოპასუხე მხარემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

2021 წლის 19 თებერვლის განჩინებით საქმეში ჩაბმულ იქნა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მეურვეობა მზრუნველობის და მხარდამჭერის სერვისების დეპარტამენტი.

2021 წლის 17 მარტს -- -- შეგებებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში მოპასუხე -- -- მიმართ განქორწინების, ალიმენტის დაკისრების, მცირეწლოვანი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის, მამობის უფლების ჩამორთმევის მოთხოვნით.

2021 წლის 2 აპრილს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს -- -- ცენტრის -- -- წარმომადგენლობამ წარადგინა დასკვნა -- -- სარჩელზე დაყრდნობით, არასრულწლოვნების ნახვის დღეების განსაზღვრის შესახებ.

2022 წლის 27 მაისს -- -- წარმომადგენელს სასამართლოდან გაეგზავნა შეგებებული სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ასლები.

2022 წლის 27 მაისის განჩინებით არასრულწლოვნებს -- -- და -- -- დაენიშნათ ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.

2022 წლის 27 მაისის განჩინებით საქმეში ჩაბმულ იქნა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მეურვეობა მზრუნველობის და მხარდამჭერის სერვისების დეპარტამენტი; -- -- შეგებებული სარჩელის გამო საქმის მასალები კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მეურვეობა მზრუნველობის და მხარდამჭერის სერვისების დეპარტამენტს და დაევალა, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ორგანოს, მოცემულ საქმეზე არასრულწლოვნების ინტერესების დაცვის მიზნით წარმომადგენლის დანიშვნა და დავის საგანთან მიმართებით თავისი დასკვნის წარმოდგენა.

2022 წლის 27 მაისის განჩინებით -- -- წარმომადგენლის შუამდლომლობა დროებითი განკარგულების გამოცემის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოცემულ დავაზე საბოლოო დაგაწყვეტილების მიღებამდე -- -- მიეცა უფლება იქონიოს ურთიერთობა შვილებთან -- და -- -- ყოველი კვირის შაბათ დღეს, 12:00 საათიდან 18:00 საათამდე (ბავშვის სურვილის შესაბამისად), საჭიროების შემთხვევაში სოციალური მუშაკის ან/და ფსიქოლოგის თანდასწრებით.

2022 წლის 1 ივნისს -- -- შესაგებელი წარადგინა სასამართლოში შეგებებულ სარჩელზე.

2022 წლის 13 ივნისს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს -- -- ცენტრის წარმომადგენლობამ საოჯახო დავებთან დაკავშირებულ საქმეებზე სასამართლო დავალების საფუძველზე შესრულებული დასკვნა წარადგინა.

2022 წლის 14 ივლისს გაიმართა სასამართლო სხდომა.

2022 წლის 14 ივლისის განჩინებით არასრულწლოვანი შვილების ნახვის დღეების განსაზღვრის თაობაზე საქმეში ფსიქოლოგის სახით მოწვეულ იქნა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს -- ცენტრის შესაბამისი ცოდნის მქონე ფსიქოლოგი; ფსიქოლოგს დაევალა შეესწავლა და გამოეკვლია დასმული საკითხები და წარედგინა დასკვნა განსახილველ საქმეზე ბავშვების თავისუფალი ნების, დედასთან და მამასთან ურთიერთობაზე დაკვირვებით, ასევე, ფსიქოლოგის მიერ მიზანშეწონილად მიჩნეულ ნებისმიერი საკითხის გამოკვლევის შედეგად წარადგინოს რეკომენდაცია თუ რას მიიჩნევს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პრობლემის აღმოფხვრის საშუალებად; ფსიქოლოგიური კვლევის ჩატარებამდე შეჩერდა მოცემული საქმის წარმოება.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის N⁰დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა, ფართო გაგებით, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, წინამდებარე გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებები სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე მიიღოს დროებითი განკარგულება, რათა მოაწესრიგოს: ა) შვილის მიმართ მშობელთა ზრუნვის საკითხები; ბ) ერთ-ერთი მშობლის ურთიერთობა ბავშვთან; გ) ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა ერთ-ერთი მშობლისათვის; დ)

მცირეწლოვანი ბავშვის შენახვის ვალდებულება; ე) საკითხი ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ; ვ) საოჯახო მეურნეობისა და ბინით სარგებლობის საკითხი; ზ) საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვასთან დაკავშირებით ხარჯების ავანსის სახით გადახდევინების საკითხი.

ამავე კოდექსის 182-ე მუხლის მიხედვით მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ, იმისგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე საფუძვლებს ემყარება ეს მოთხოვნები, თუ - არა; სასარჩელო განცხადების მიმღებ მოსამართლეს შეუძლია გაერთიანებული მოთხოვნებიდან ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ცნობს, რომ მოთხოვნათა განცალკევებული გარჩევა უფრო მიზანშეწონილია; რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნების მიღებისას, სასარჩელო განცხადების მიმღებ მოსამართლეს შეუძლია ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ცნობს, რომ მოთხოვნათა განცალკევებული განხილვა უფრო მიზანშეწონილია; თუ სასამართლოს წარმოებაშია რამდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული საქმე, რომლებშიც ერთი და იგივე ან სხვადასხვა მხარე მონაწილეობს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გააერთიანოს ეს საქმეები ერთ წარმოებად ერთად განხილვისათვის, თუ ასეთ გაერთიანებას შედეგად მოჰყვება დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა. მოსამართლე, რომელსაც მიმართეს საქმეთა გაერთიანების შესახებ შუამდგომლობით, თავის წარმოებაში არსებულ საქმესთან აერთიანებს თავის წარმოებაშივე ან სხვა მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეს, რის თაობაზედაც გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

ამდენად, სასამართლოს შეუძლია გაერთიანებული მოთხოვნებიდან ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ცნობს, რომ მოთხოვნათა განცალკევებული განხილვა უფრო მიზანშეწონილია. შესაბამისად, აღნიშნული მუხლი მოსამართლეს არ ავალდებულებს, არამედ მის შეხედულებაზეა დამოკიდებული, რამდენად მიზანშეწონილად მიაჩნია გამოყოს გაერთიანებული მოთხოვნებიდან ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის მითითებას, რომ მოსამართლე მისგან კატეგორიულად ითხოვდა ბავშვების მამასთან გაშვებას, საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლემ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მიიღო ყველა ზომა არასრულწლოვნების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მხარეთა მორიგებისთვის, რაც ბუნებრივია, ვერ ჩაითვლება რომელიმე მხარის იძულებად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს სასამართლოს აქტიურ როლზე მხარეთა მორიგების მიზნით.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებისა და გადაწყვეტილების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე, არ იკვეთება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. შეწყდეს -- -- 2022 წლის 17 აგვისტოს №142 საჩივრის საფუძველზე არსებული დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, აქტის კანონიერების შემოწმების ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2. პუნქტი).

2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №142/22 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- - - მიმართ, შესაძლო დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტებზე (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1 პუნქტი).

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი